# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# აღსრულების ეროვნული ბიურო
# ბრძანება № 245

KA012054744923715

თბილისი 27 / მარტი / 2015 წ.

## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის №24 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების მე-5 მუხლის „კ“ და „ჟ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოში დასაქმებულ პირებს მიენიჭოთ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ აღსრულების ქვემდებარე აქტებზე სააღსრულებო მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2011 წლის 18 თებერვლის N134 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — იოსებ ბაღათურია